# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

## ბრძანება №2-569

## 2020 წლის 6 ივლისი

## ქ. თბილისი

**წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ**

„წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს თანდართული „წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის რეესტრის წარმოების წესი“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი** **ლევან დავითაშვილი**

## წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის რეესტრის წარმოების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულება

„წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის რეესტრის წარმოების წესი“ (შემდგომში – წესი) არეგულირებს წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის რეესტრის წარმოებასთან, მონაცემების შეტანასა და განახლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

### მუხლი 2. წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის რეესტრი

1. წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის რეესტრი (შემდგომში – რეესტრი) წარმოადგენს წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების აღრიცხვის მიზნით შექმნილ მონაცემთა ბაზას.

2. რეესტრის მონაცემები საჯაროა და ქვეყნდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ოფიციალურ ვებგვერდზე.

### მუხლი 3. რეესტრში რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია

1. რეესტრში რეგისტრაციისთვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;

ბ) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის დამფუძნებელი საერთო კრებისა და გამგეობის სხდომების ოქმები;

გ) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის საკონტაქტო მონაცემები;

დ) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის წევრების ხელმოწერით დამოწმებული სია, რომელიც მოიცავს

ინფორმაციას წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის თითოეული წევრის მიერ დაკავებული მიწის ფართობის შესახებ;

დ) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის მომსახურების ტერიტორიის რუკა;

ე) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის წესდება.

2. რეესტრში რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, წყალმომხმარებელთა ორგანიზაციისთვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა სავალდებულოა.

**მუხლი 4. რეესტრის წარმოების წესი**

1. რეესტრს აწარმოებს სამინისტრო, რომელიც, წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის სისწორის შემთხვევაში, 30 დღის ვადაში გამოსცემს ბრძანებას სსიპ – წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის რეესტრში რეგისტრაციის შესახებ.

2. ორგანიზაციის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელია ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი.

**მუხლი 5. რეესტრში შესატანი ინფორმაცია**

1. რეესტრში წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია შეიტანება ამ წესის მე-7 მუხლში მოცემული ფორმის მიხედვით.

2. რეესტრში აისახება:

ა) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის სახელწოდება;

ბ) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის რეესტრში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი;

დ) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ ბრძანების ნომერი და თარიღი;

ე) მუნიციპალიტეტი, ქალაქი/სოფელი, დაბა/თემი;

ვ) სამელიორაციო სისტემა;

ზ) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის მომსახურების ტერიტორიის ფართობი;

თ) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა;

ი) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელ. ნომერი, ელ. ფოსტა.

**მუხლი 6. რეესტრში არსებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა**

რეესტრში ცვლილების შეტანა ხდება შესაბამისი სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ, შესაბამისი ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუმეტეს ერთი კვირისა.

# მუხლი 7. წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის რეესტრი

| N | ორგანიზაციის სახელწოდება | საიდენტიფიკაციო კოდი | რეესტრში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი | რეგისტრაციის შესახებ ბრძანების ნომერი და თარიღი | მუნიციპალიტეტი ქალაქი/სოფელი დაბა/თემი | სამელიორაციო სისტემა | მომსახურების ტერიტორიის ფართობი | წევრების რაოდენობა | თავმჯდომარის სახელი და გვარი | პირადი ნომერი | მისამართი | ტელ. ნომერი | ელ. ფოსტა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |